

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**სალიტერატურო ენის  
საკითხები  
V**

ივანე გიგინეიშვილი – 115

2024 წლის 13-14 აპრილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი  
2024

სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 202-ე აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1).

**რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი**

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

**რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

## **პროგრამა**

**13 აპრილი, 11 საათი**

თავმჯდომარე – **ნ. მაჭავარიანი**

**შესავალი სიტყვა** – ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, თსუ არნ. ჩი-ქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ღ რ ა ძ ე, ივანე გიგინეიშვილის წიგნის – **„სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“** – წარდგენა

### **მოხსენებები**

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა, რამდენიმე სიტყვა პროფესორ ივანე გიგინეიშვილზე

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე, ივანე გიგინეიშვილი – ენათმეცნიერი  
ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ივანე გიგინეიშვილი და ქართული  
ენის ორთოგრაფიული ლექსიკონები

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ივანე გიგინეიშვილი და თანამედრო-  
ვე ქართული ენის ნორმები (სახელები)

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, ივანე გიგინეიშვილი და  
ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (ზმნა)

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ  
თოფურია – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორ-  
მები

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, ივანე გიგინეიშვილი და „ქართული  
სიტყვის კულტურის საკითხები“

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ივანე გიგინეიშვილი და  
ქართული დიალექტოლოგია

**14 აპრილი, 11 საათი**

თავმჯდომარე – **თ. ვაშაკიძე**

ნ ა ი რ ა ბ ე პ ი ე ვ ი, ორთოგრაფიულ-სტილისტიკური შეც-  
დომები ქართულ პრესაში

ციცინო გაბესკირია, სიტყვათა თამაშის ზოგიერთი სახეობა ქართულ და ინგლისურ ენებში (სპუნერიზმები, მალაპროპიზმები, მალაფორები)

რუსუდან ზექალაშვილი, ორპირიან გარდაუვალ ზმნათა უღლება – ისტორიული ვითარება და უნიფიკაციის ტენდენცია

მარიამ ორკოდაშვილი, მეტაფორა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში

ნინო კოპიაშვილი, პოეტური ენის ზოგიერთი საკითხისათვის: პოლისემია მხატვრულ ტექსტში და მისი ლექსიკოლოგიური ასპექტები

მანანა ჩაჩანიძე, პოლივალენტური ენობრივი თამაში და ლინგვისტური ინოვაციები

## **სტუდენტთა სექცია**

ნამილ გასანოვი – ფრაზეოლოგიური გამოთქმებისათვის ქართულში (აზერბაიჯანულ-თურქულ და ინგლისურ ენებთან მიმართებით)

ვიქტორია ქალდანი – ენობრივი ფორმულებისათვის ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში

სანდრო ჩემინავა – ტირეს გამოყენების შემთხვევებისათვის ქართულში

## **ორთოგრაფიულ-სტილისტიკური შეცდომები ქართულ პრესაში**

მართლწერა-სტილისტიკის საკითხებს ბოლო წლებში საგანგებო ყურადღება დაეთმო; გამოიცა მრავალი საცნობარო სახელმძღვანელო: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (23 წიგნი), „ქუნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ (ორ ნაწილად), „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ და სხვ. მიუხედავად ამისა, ქართულ პრესაში კვლავაც მრავლად გვხვდება ორთოგრაფიულ-სტილისტიკური თუ აზრობრივი შეცდომები; ირღვევა სალიტერატურო ენის ნორმები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ნაცვალსახელების, ზმნისართებისა თუ ზმნათა (აგრეთვე სხვა მეტყველების ნაწილთა) გამოყენებისას, მაგ.: იგი სახლში მიდიოდა და მისი ამხანაგიც თან მიჰყავდა (უნდა იყოს: იგი შინ მიდიოდა და თავისი ამხანაგიც მიჰყავდა); ასეთი დასკვნა გამოიტანეს ექიმთა ჯგუფმა (უნდა იყოს: ასეთი დასკვნა გამოიტანა ექიმთა ჯგუფმა); ხუთ მაისს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება (უნდა იყოს: ხუთ მაისს დამთავრდა გადადებული პარტიები) და მრავალი სხვა. ზოგჯერ ირღვევა სიტყვათა შორის სინტაქსური მიმართებაც.

მოხსენებაში ძირითადად შევხებით იმ სახის ტიპობრივ შეცდომებს (პრესის ფურცლებიდან, აგრეთვე – ტელე- და რადიოგაცემათა პროგრამებიდან), რომლებიც აბუნდოვანებს წინადადების შინაარსს (მის მთავარ სათქმელს) და წარმოვადგენთ რეკომენდაციებს ზემოთ დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით.

## **ივანე გიგინეიშვილი და თანამედროვე ქართული ენის ნორმები (სახელები)**

ივანე გიგინეიშვილის მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მკვლევრის უდიდესი წვლილი ქართული ენის ნორმალიზაციისა და სალიტერატურო ენის საკითხთა კვლევის სფეროში.

მისი ავტორობით შემუშავდა არაერთი ნორმა, რომელთაგან აღსანიშნავია სახელთა მართლწერის პრობლემები. ერთ-ერთი მათგანია „რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები“. მასში განხილული და მოგვარებულია რიცხვითი სახელის ხმარებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: რაოდენობითი, რიგობითი და რომაული რიცხვითი სახელების მართლწერა (როგორც სიტყვიერად, ისე ციფრებით გამოსახვისას).

ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ივ. გიგინეიშვილის მიერ შემუშავებული ნორმა „მოსაგვარებელი საკითხები ადამიანის სახელთა ბრუნებისას“, რომელშიც გაანალიზებულია ადამიანის საკუთარი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული სირთულეები: ეთერიმ თუ ეთერმა, გურამიმ თუ გურამმა..., ◦-ზე გათავებული საკუთარი სახელების მართლწერის საკითხები – ალექსიმ თუ ალექსმა? ანატოლიმ თუ ანატოლმა...; ყურადღება გამახვილებულია უცხოური გვარებისა და გეოგრაფიული სახელების გამოყენების პრობლემებზეც: გარიბალდიმ თუ გარიბალდმა, ბოტიჩელიმ თუ ბოტიჩელმა; დელიში, ტრიპოლიზე... განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასახელებულ ნორმას თან ახლავს საკუთარ სახელთა სარეკომენდაციო სია: 1. სახელები, რომლებშიც ◦ ფუძეს განეკუთვნება; 2. სახელები, რომლებშიც ◦ სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

„თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერაში“ განხილულია შერწყმულთანდებულიან სახელთა დაწერილობის საკითხები.

ნორმაში „სახელის შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნისართებთან ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებში“ გადაჭრილია ორი ძირითადი პრობლემა: 1. თანდებულებისა და ზმნი-

სართების მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში დაკავშირებისას რომელ ფორმას მიეცეს უპირატესობა; 2. I და II პირის ნაცვალსახელებთან მათი გამოყენების პარალელური – სანიანი თუ უსანო – ფორმების საკითხები...

ივ. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურის თანაავტორობით მომზადდა ნორმა „რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა“, რომელშიც წარმოდგენილია ფუძის გაორკვევებით, სხვადასხვა ფუძისა თუ ორი ფორმის შეერთებით მიღებული კომპოზიტების მართლწერის წესები.

სახელთა მართლწერის საკითხებთან დაკავშირებული ნორმების მხოლოდ ჩამონათვალიც კი ნათლად წარმოაჩენს, თუ რამდენად დიდია ივ. გიგინეიშვილის როლი ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საქმეში.

## ც ი ც ი ნ ო გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

### **სიტყვათა თამაშის ზოგიერთი სახეობა ქართულ და ინგლისურ ენებში (სპუნერიზმები, მალაპროპიზმები, მალაფორები)**

მოხსენებაში განხილულია სიტყვათა თამაშის სახეობები – სპუნერიზმები, მალაპროპიზმები, მალაფორები; ახსნილი და განმარტებულია თითოეული სახეობა და დადგენილია მათი წარმომავლობა. მაგალითად, ტერმინი **სპუნერიზმი** უკავშირდება ანგლიკანური ეკლესიის მღვდლის, ფილოსოფოსისა და მწერლის – უილიამ არჩიზალდ სპუნერის სახელს. მეორე გავრცელებული სიტყვათა თამაში, რომელმაც ფეხი მოიკიდა არა მარტო მეტყველებაში, არამედ ლიტერატურასა და თეატრში, **მალაპროპიზმია**. ეს ტერმინი მომდინარეობს ირლანდიელი პოეტისა და დრამატურგის – რიჩარდ შერიდანის პიესიდან „მეტოქეები“ (The Rivals). პიესის ერთ-ერთ პერსონაჟს – ქალბატონ მალაპროპს სურს, მაღალ საზოგადოებაში დაიმკვიდროს თავი და ცდილობს, მაღალფარდოვანი სიტყვები გამოიყენოს, რომელთა მნიშვნელობა ხშირად არ ესმის, ამიტომ ერთი სი-

ტყვის ნაცვლად სხვას ხმარობს, რაც მას საკმაოდ სასაცილო მდგომარეობაში აგდებს. სიტყვათა თამაშის კიდევ ერთი სახე **მალაფორია**. ტერმინი მალაფორი ორი სიტყვის – მალაპროპიზმისა და მეტაფორის შერწყმის შედეგად წარმოიშვა. იგი ორი აფორიზმისა თუ იდიომის შერწყმაა, რაც ასევე კომიკურ ეფექტს იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში ეს ტერმინები არ არის გავრცელებული, მოხსენებაში არის მცდელობა თამაშთა ამ სახეობების ქართულ ენაში მოძიებისა და ინგლისურთან შეპირისპირების. მაგალითები მოყვანილია ორივე ენაზე. სიტყვათა თამაშის სამივე სახეობა – სპუნერიზმი, მალაპროპიზმი (ანუ დოგბერიზმი) და მალაფორი – გამოიყენება: 1. უნებლიე წამოცდენისას – *slip of the tongue*; 2. გაუნათლებელი ადამიანის მეტყველებისას და 3. ავტორის მიერ ასეთი გამოთქმებით კომიკური ეფექტის შესაქმნელად.

## გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

### **ივანე გიგინეიშვილი და ქართული დიალექტოლოგია**

ივანე გიგინეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის ქართული დიალექტოლოგია.

თვალსაჩინოა ივ. გიგინეიშვილის დამსახურება ფშაური, ქართლური, კახური, გუდამაყრული და გურული მეტყველების შესწავლის საქმეში (ტექსტების ჩაწერა, სალექსიკონო მასალების შეგროვება, ლექსიკონის შედგენა, დიალექტის მიმოხილვა)...

ასევე მნიშვნელოვანია ივ. გიგინეიშვილის გამოკვლევები ქართული სალიტერატურო ენისა და ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ურთიერთმიმართების შესახებ.

და მთავარი: ივ. გიგინეიშვილი არის თანაავტორი (ვარლამ თოფურისა და ივანე ქავთარაძესთან ერთად) ქართულ დიალექტოლოგიაში **საეტაპო მნიშვნელობის** წიგნისა – „ქართული დიალექტოლოგია“ (წიგნი პირველი), რომელიც გამოიცა 1961 წელს.



## ქ ე თ ე ვ ა ნ   დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

### **ივანე გიგინეიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (ზმნა)**

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ივანე გიგინეიშვილის მიერ მომზადებული 8 ნორმაა წარმოდგენილი, ამათგან ოთხი ეხება ზმნასთან დაკავშირებულ მართლწერის საკითხებს.

ნორმაში „ჰ- და ს- თავსართების ხმარება ზმნებში“ განხილულია S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირის ნიშანთა გამოყენების შემთხვევები. საკითხის ისტორიისა და საკვლევი მასალის გათვალისწინებით, ივ. გიგინეიშვილი წარმოადგენს **ჰ-** და **ს-** პრეფიქსთა ხმარების წესებს. დეტალურად არის აღწერილი, ერთი მხრივ, ამ თავსართების ხმარებისა და, მეორე მხრივ, მათი აკრძალვის შემთხვევები, დასახელებულია შესაბამისი მორფოლოგიური და ფონეტიკური ფაქტორები.

ნორმის ბოლოს წარმოდგენილია რამდენიმე ზმნა, რომლებშიც დადგენილი წესის მიხედვით ს- პრეფიქსი არ უნდა იხმარებოდეს, მაგრამ, ავტორის აზრით, ის უნდა დარჩეს, რადგან **ს-** აქ ფუძესაა შეხორცებული: **გასტანს, გასწევს, ასწევს, გამოსცემს, გასცემს.**

ნორმაში „პრევერბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები“ ავტორი განიხილავს ძველი ზმნისწინების გამოყენებისას გავრცელებულ შეცდომებს. იგი წარმოგვიდგენს იმ ზმნების სიას, რომლებშიც **ნ ღ რ** თანხმოვნები შეზრდილია ფუძესთან: *ანვითარებს, უნვითარდება, ნწირავს, ნსაზღვრავს, ღზრდის, ღრიცხავს, არდგენს...* აღნიშნულია, რომ ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენაში გაბატონებული არ არის. გავრცელებულია ფუძეს შეუხორცებელი მართებული ვარიანტები.

მასალის ანალიზის შედეგად წარმოდგენილია დასკვნა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უმართებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული ის ფორმები, რომლებშიც პრევერბისეული თანხმოვანი ფუძესაა შეხორცებული. გამონაკლისის წესით მართებულ ვარიანტებად დასახელდა **აღიარებს** და **აღორძინებს** ზმნები.

შემდეგი ნორმაა „-ევ სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა მეორე ჯგუფში“. მასში განხილუ-

ლია შემთხვევები, როდესაც დრო-კილოთა ნამყო ჯგუფში -**ევ** სუფიქსიან ზმნათა ვნებითის ფორმები (**დაინგრევა – დაინგრია, დაირღვევა – დაირღვია...**) დაემთხვა მოქმედებითი გვარის სასუბიექტო ქცევის ფორმებს (**დაინგრეეს – დაინგრია, დაირღვეეს – დაირღვია...**).

ივ. გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ ენაში განვითარებული პროცესის შედეგად ვნებითის ფორმებმა დაკარგა **o** ხმოვანი, სასუბიექტო ქცევის ზმნებმა კი ის შემოინახა. შესაბამისად, მივიღეთ განსხვავებული ვარიანტები: ვნებ. **დაინგრა**, მოქმ. **დაინგრია**; ვნებ. **დაირღვა**, მოქმ. **დაირღვია** და ა. შ.

ზემოთ განხილულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ივ. გიგინეიშვილი წარმოგვიდგენს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართებულ ვარიანტებს ნამყო ძირითადას და მეორე კავშირებითში: მოქმ.: **დაიბნია, გაიბნია** (მან იგი), **დაიბნიოს, გაიბნიოს** (მან იგი) – ვნებ.: **დაიბნა, გაიბნა** (იგი), **დაიბნეს, გაიბნეს** (იგი) და ა. შ.

„ნთქამს თუ ნთქავს? ჩანთქამს თუ ჩანთქავს? ჩაუნთქამს თუ ჩაუნთქავს?“ – ამ მცირე მოცულობის ნორმაში განხილულია ერთი ზმნის თემის ნიშნის საკითხი. ივ. გიგინეიშვილი მსჯელობს იმის შესახებ, რომ ნთქამს ზმნას აწმყოს ფუძის საწარმოებლად უნდა ჰქონდეს -**ამ**: **ნთქამს, ჩანთქამს (შთანთქამს), ჩაუნთქამს (შთაუნთქამს)**. მაგრამ თანამედროვე ქართულში ამ ზმნაში -**ამ** შეცვალა -**ავ** სუფიქსმა და დღეისთვის გაბატონებული ფორმებია: **ნთქავს, ჩანთქავს (შთანთქავს), ჩაუნთქავს (შთაუნთქავს)**.

ავტორის აზრით, -**ავ**-იანი ფორმები იმდენად გავრცელებულია, რომ -**ამ**-იანები ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს, რის გამოც სალიტერატურო ფორმებად მიჩნეული უნდა იყოს -**ავ** სუფიქსიანი ვარიანტები: **ნთქავს, ჩანთქავს, ნთქავდა, ჩანთქავდა...** მასდარსა და მიმღეობაში კი -**ამ**-იანი ფორმები უნდა დარჩეს: **ჩანთქმა (შთანთქმელი), ჩანთქმული (შთანთქმელი)**.

## ივანე გიგინეიშვილი – ენათმეცნიერი

სამშობლოსა და ქართული ენის დიდი სიყვარული ბავშვობიდანვე თან დაჰყვა შემდეგ უკვე გამოჩენილ ენათმეცნიერსა და გამორჩეულ პიროვნებას – ივანე გიგინეიშვილს, რაც ალბათ იყო მიზეზი იმისა, სიცოცხლის ბოლომდე თავდაუზოგავად რომ ემსახურებოდა მშობლიურ ენას, სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის დიდ ეროვნულ საქმეს.

მრავალმხრივია ივანე გიგინეიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროც და კვლევის დიაპაზონიც – ქართული მეტყველების კულტურა, მწერლის ენა, ტექსტოლოგია, ლინგვისტილისტიკა, სალიტერატურო ენის საკითხები, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია... მეცნიერის კალამს ეკუთვნის ასობით სამეცნიერო ნაშრომი (სტატია თუ ვრცელი გამოკვლევა), აგრეთვე – არაერთი მონოგრაფია, რომელთაგან, სამწუხაროდ, ზოგი მხოლოდ ხელნაწერის სახით მოგვეპოვება.

1934 წლიდან მოყოლებული კითხულობდა ივანე გიგინეიშვილი ლექციებს (ქართულ ენას) საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო 1934-1938 წლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში... გამორჩეული ლექტორი და მასწავლებელი – ასეთად ახსოვთ იგი სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და საზოგადოება „ცოდნის“ თხოვნით მკვლევარი წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებზე.

1953 წლიდან (დაარსების დღიდან) ივანე გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილებას (რომელიც 1966 წლიდან ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებად გარდაიქმნა). მისი რედაქტორობით მომზადდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველი წიგნი (1970); 1966 წელს დაარსდა განყოფილება

ფილემის კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (პირველი ხუთი წიგნი ივანე გიგინეიშვილის რედაქტორობით გამოქვეყნდა).

ყველა ქართველის სამაგიდო წიგნად იქცა ვარლამ თოფურია-სა და ივანე გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, მისივე (ივანე გიგინეიშვილის) რედაქტორობით (ბიძინა ფოჩხუასთან ერთად) გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მე-8 ტომი (1964)...

დიდი მუშაობა გასწია ივანე გიგინეიშვილმა ქართული ენის დიალექტების შეკრება-დამუშავების საქმეშიც, რაც აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდა სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევისას.

ორივე დისერტაცია – საკანდიდატოცა და სადოქტოროც – მკვლევარმა „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხებს მიუძღვნა („სიტყვა-წარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“, 1944; „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“, 1975). ასეთივე გატაცებით იკვლევდა მეცნიერი აღორძინების პერიოდის ლიტერატურულ ძეგლთა ენას.

ივანე გიგინეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასებას (თუნდაც – მხოლოდ დასახელებას შრომებისას), ბუნებრივია, ვერ დაიტევს ერთი პატარა თეზისი თუ წერილი.

მოსხენებაში ვრცლად იქნება საუბარი ქართული ენის დიდი მოამაგისა და სალიტერატურო ენის ნორმათა სულისჩამდგმელის – ივანე გიგინეიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ.

## რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

### **ორპირიან გარდაუვალ ზმნათა უღლება – ისტორიული ვითარება და უნიფიკაციის ტენდენცია**

ენის ცვალებადობა ეხება ზმნურ ფორმებასაც. ამის მაგალითია ერთპირიან და ორპირიან გარდაუვალ ზმნათა უღლება ძველსა და ახალ ქართულში: ერთპირიან ზმნებში სამივე მწკრივში ამოსავა-

ლი იყო მიმღეობა, რომელსაც ემატებოდა მეშველი ზმნა. ახალ ქართულში წარმოება ნარევი გახდა: აღწერილობითობა დარჩა, მაგრამ შეიცვალა პირის ნიშნის ადგილი (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ა. შანიძე).

ორპირიან ზმნათა პირველი თურმეობითი სინთეზურად (ორგანულად) იწარმოებოდა მასდარის საფუძველზე შექმნილი ფუძისაგან (პირველ თურმეობითში – იე დაბოლოებით, მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში – -ოდ სავრცობის დამატებით). ახალ ქართულში პირველი თურმეობითის წარმოება აღწერილობითი გახდა, ხოლო ორი დანარჩენისა არ შეცვლილა. ესაა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმა დღესაც.

ლ. ბარამიდის აზრით, I თურმეობითის ახლებური ანუ აღწერილობითი წარმოება -იე დაბოლოებიან ზმნებთან სამუაღი ქართულის ადრეულ პერიოდში უკვე დასრულებული იყო (ჰაიმეტ ლექციონარში, VIII ს. II ნახ.), მომდევნო საუკუნეებში კი კიდევ უფრო გავრცელდა.

აღნიშნული ფორმები ძველ ქართულში საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა, ამას გარდა, კონტექსტის გარეშე ძნელი იყო განსხვავების დადგენა შედგენილ შემასმენელსა და ზმნის უღლებად ფორმას შორის. მესამე სერიაში გარდაუვალი ზმნების უღლების მიმართ ძველი ქართული ენის მკვლევართა ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ამ საკითხს რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიემდგნა (ივ. იმნაიშვილმა ძველი ქართულის ტექსტებიდან თავი მოუყარა 41 მაგალითს, რომელთაგან მცირე ნაწილი იყო ნ. ნათაძისა და ლ. ბარამიდის მოძიებული. აქედან უმრავლესობა პირველი თურმეობითია, მე-3 კავშირებითი კი – მხოლოდ 2).

თანამედროვე მასმედიის ზეპირ ტექსტებში (ასევე სასაუბრო დისკურსში) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა უღლებისას მესამე სერიაში საკმაოდ ხშირად ირღვევა ნორმა და ზოგიერთი ზმნა აღწერილობით წარმოებაზე გადადის (და ეს არ ემთხვევა ჩვენთვის ცნობილ დიალექტურ ფორმებს: გასჩენიყო, გამოჰყოლიყო...), არამედ ამოსავალია მიმღეობა: გავყოლილვარ, შევხვედრილვარ, გავყოლილიყავი, შევხვედრილიყავი... ჯერჯერობით მხოლოდ ზმნების ნაწილთან დასტურდება ამგვარი მიმღეობური ფორმები.

ეს პროცესი კიდევ ერთხელ ადასტურებს ენის განვითარების ხაზს: ორგანული და აღწერილობითი წარმოების მონაცვლეობას ენის ისტორიული განვითარების განმავლობაში.

ვფიქრობთ, დასახელებული ფორმების გავრცელებას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა:

1. ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა გავრცელებულობამ ორპირიანთან შედარებით;
2. **ილ**-სუფიქსიან მიმღობათა მსგავსებამ შესაბამისი ფუძის მასდარებთან (მდრ.: ჩავყოლივარ/ჩავყოლილვარ...).
3. აბსოლუტურ ზმნათა ფორმაწარმოების ყალიბის გადატანამ რელატიურ ზმნებზე მესამე სერიაში, რაც უნიფიკაციის მოვლენაა.

## მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

### **ივანე გიგინეიშვილი და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“**

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში 1966 წელს დაარსდა კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. ივ. გიგინეიშვილი დასახელებული კრებულის პირველი ხუთი წიგნის რედაქტორია (1972-1983).

წიგნები მოიცავს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის, მორფოლოგია-სინტაქსის, სემანტიკის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის სხვადასხვა საკითხს. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“ ივანე გიგინეიშვილის ავტორობით გამოქვეყნებულია 13 სტატია, რომლებშიც გაანალიზებულია ზემოთ დასახელებული თითქმის ყველა პრობლემური საკითხი:

1. **„უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემისათვის“** (ქსკს, I, 1972);

2. „ია-ზე და აია-ზე დაბოლოებული ქართული გვარების რუსული დაწერილობისათვის“ (ქსკს, I, 1972);
3. „ერთი გამოთქმის აღნაგობისათვის ქართულ ენაში“ (ქსკს, II, 1979);
4. „XVIII ს. პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა და ვახტანგ მეექვსე“ (ქსკს, V, 1983);
5. „პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელი ახალი ქართული ლექსის ენაში“ (ქსკს, VI, 1984);
6. „ვასილ ზარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის“ (ქსკს, VIII, 1988);
7. „ი. ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ (ქსკს, 1989, IX);
8. „და“ კავშირი „ვეფხისტყაოსანში“ (ქსკს, IX, 1989);
9. „ზოგიერთი დაკვირვება გალაკტიონ ტაბიძის ენაზე“ (ქსკს, X, 1993);
10. „არქაიზმების საკითხისათვის“ (ქსკს, XI, 1998);
11. „რესპუბლიკური პრესის ენობრივი ანალიზი (ზოგადი მიმოხილვა)“ (ქსკს, XII, 2004);
12. „სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“ (ქსკს, XIV, 2014);
13. „სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“ (სახელთაგან სახელის წარმოება, ნაზმნარი სახელები, ნასახელარი ზმნები) (ქსკს, XX, 2020).

დასახელებული ნაშრომებით მეცნიერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის კვლევის სფეროში.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ზემოთ ჩამოთვლილ სტატიათა საკვანძო საკითხები.

## მ ა რ ი ა მ ო რ კ ო დ ა შ ვ ი ლ ი

### **მეტაფორა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში**

მოხსენებაში განხილულია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროსთან დაკავშირებული ზოგიერთი მეტაფორა თუ ლექსიკური ერთეული ქართულ და ინგლისურ ენებში, რაც საინტერესოა და გასათვალისწინებელი ინგლისურ-ქართული ტერმინების შეპირისპირებითი ანალიზისას.

თანამედროვე სამეცნიერო თუ ტექნოლოგიური ენა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია განსაკუთრებით საინტერესოა სხვადასხვა ენაში გავრცელების თვალსაზრისით, რადგან ახალი ერთეულები უმეტესად ინგლისურში ჩნდება, იკიდებს ფეხს და მხოლოდ შემდეგ ვრცელდება სხვა ენებში.

ამ სფეროებში შექმნილი ახალი ლექსიკური ერთეულების ინგლისურიდან ქართულში გადმოტანა უმეტესწილად რთული და კომპლექსური პროცესია. ტერმინებს ზუსტი შესატყვისი არ ეძებნება და საჭირო ხდება მათი განმარტება და ვრცელი ფრაზეოლოგიური ერთეულის შექმნა თუ მოძიება.

ასევე მნიშვნელოვანია ტერმინთა სიხშირის დადგენა და მათი შედარება სხვადასხვა სახის ტექსტებსა და დისკურსებში გავრცელების თვალსაზრისით.

პროცესი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ლექსიკური ერთეულის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას აუცილებელია ახსნა-განმარტება, რაც მეტაფორისა და მეტონიმის სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებსა თუ დისკურსებში გამოყენებას უკავშირდება.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება დასახელებული ტიპის სამეცნიერო მეტაფორები ინგლისურ და ქართულ ენებში.



## ნ ი ნ ო პ ო პ ი ა შ ვ ი ლ ი

### **პოეტური ენის ზოგიერთი საკითხისათვის: პოლისემია მხატვრულ ტექსტში და მისი ლექსიკოლოგიური ასპექტები**

პოეტური ენა, ანუ მხატვრული ენა არის ლექსიკის, სინტაქსის შემოქმედებითი გამოყენება. პოეტური ენა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. იგი ავტორის, მწერლის, შემოქმედის განწყობას, ჩანაფიქრს, ემოციას გადმოგვცემს. პოეტური ენა ლიტერატურაში უნივერსალური მოვლენაა და ყველა მხატვრულ ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს. ის სხვადასხვაენოვანი და, ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების შემადგენელი ნაწილია. ამასთან, პოეტური ენა ორიგინალურობითა და ინდივიდუალური შემოქმედებითობით ხასიათდება.

პოლისემია სიტყვათა მრავალმნიშვნელობიანობას ეწოდება. ცნობილია, რომ ხშირად სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. პოლისემია გვევლინება ენის ბუნებრივ თვისებად. ამიტომაც საინტერესოა მხატვრული ენის თვალსაზრისითაც. პოლისემია საკუთარ თავში მოიცავს ერთი და იმავე სიტყვის, სიტყვათა შეხამებისა თუ ფრაზის სხვადასხვა აზრსა და მნიშვნელობას, სხვადასხვა ინტერპრეტაციას. ჩვეულებრივ, პოლისემია იხმარება მაშინ, როდესაც ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობებს ვხვდებით. სხვა შემთხვევაში საქმე გვაქვს ომონიმიასთან, ორ სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირი დაწერილობის (ან/და წარმოთქმის) სიტყვასთან.

გამოიყოფა პოლისემიის შემსწავლელი თანამედროვე მეთოდების ოთხი ჯგუფი:

- კონტექსტუალური პოლისემია;
- სტრუქტურული პოლისემია;
- ფსიქოლინგვისტური პოლისემია;
- სტატიკური პოლისემია.

აღსანიშნავია, რომ პოლისემია მხატვრულ ტექსტში შესაძლოა სიტყვათა თამაშის საგანიც გახდეს.

მოხსენებაში ქართული მხატვრული ტექსტების მაგალითზე განვიხილავთ პოლისემიას პოეტური ენის თვალსაზრისით, ყურადღებას გავამახვილებთ პოლისემიის შემოქმედებით და ლექსიკოლოგიურ ასპექტებზე.

## თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### **ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები**

ივანე გიგინეიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმეში. გარდა იმისა, რომ მეცნიერი იყო თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, იგი თავადაც იკვლევდა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას ნორმალიზების მიზნით. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კრებულში შესულია მისი როგორც დამოუკიდებლად, ისე ვარლამ თოფურიასთან ერთად მომზადებული სამი სტატია. ესენია:

1. **გ** ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები;
2. რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა;
3. სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სამივე საკითხი დღესაც არ კარგავს აქტუალობას და წარმოადგენს ქართული ორთოგრაფიის ერთ-ერთ რთულ უბანს. ეს განსაკუთრებით ითქმის „**გ** ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესებსა“ და „რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობაზე“. პირველი საკითხის სირთულეს განაპირობებს ის, რომ „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფუძისეული თუ ფორმანტისეული **გ** ბგერის შენარჩუნებას სიტყვაში ან მის ამოღებას, ან კიდევ **გ** ბგერის ჩართვას შემთხვევითი ხასიათი

არა აქვს, მაგრამ მაინც მყარი წესები ყოველთვის არ არსებობს... [შესაბამისად], სიტყვაში **გ** ბგერის შემონახვისა და ამოღების ან მისი ჩართვის წესების დასადგენად ამჟამად ერთი რომელიმე პრინციპის თანმიმდევრულად გატარება ძნელი ხდება“ (თქსენ 1986: 9). მოყვანილი ციტატის გარდა (რომელიც ნორმის ავტორებს ეკუთვნით), საკითხის სირთულეს ადასტურებს ისიც, რომ ხსენებული ნორმა შეიცავს სულ 30 წესს, რომელთაგან 19 ეხება ფუძისეული **გ**-ს დაცვის, 8 – **გ**-ს დაკარგვის, ხოლო 3 – **გ** ბგერის დართვა-ჩართვის შემთხვევებს. მკვლევართა ყურადღების მიღმა არც ის შემთხვევები დარჩენილა, როდესაც **გ** ბგერის არსებობა-არარსებობა სემანტიკური სხვაობის საფუძველს ქმნის. შდრ.: შეციგება – შეციება, პატიება – (გა)პატიგება... და სხვ.

რაც შეეხება „რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობას“, უნდა ითქვას, რომ კომპოზიტთა მართლწერა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აქტუალურობას არ კარგავს. ეს ის სივრცეა, სადაც თითქოს ყველაფერი შესწავლილი და დადგენილია, მაგრამ მუდმივად წარმოიშობა, ერთი მხრივ, ახლად შექმნილი თუ ნასესხები რთული სიტყვების დაწერილობის საკითხები, მეორე მხრივ კი თავს იჩენს უკვე დადგენილი წესების დარღვევის არაერთი მაგალითი. მკვლევრებს რთული სიტყვების მიღების სამი საშუალება აქვთ გამოყოფილი: 1. ფუძის გაორკეცება; 2. ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთება; 3. ორი სიტყვის შეერთება. რა თქმა უნდა, თითოეული ჯგუფი თავის მხრივ მოიცავს ქვეჯგუფებს, რომლებშიც რთული სიტყვები ერთიანდება შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკის, ფორმის, მეტყველების ნაწილის, ფორმაცვალებადობა-ფორმაცვლელობისა თუ ამ კომპონენტებს შორის ადრე ნავარაუდები სინტაქსური მიმართების გათვალისწინებით.

რთულ სიტყვათა მართლწერისათვის ავტორები საბოლოოდ გამოყოფენ 16 წესს, ამათგან 12 ეხება ერთ სიტყვად, უდგეფისო დაწერილობას, ხოლო 4 – კომპოზიტში დგეფისის გამოყენების შემთხვევებს.

„სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხი“ ივ. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურიას მიერ ერთობლივად შემუშავებული ბოლო ნორმა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ კრებულში. საკითხის აქტუალურობა უკავშირდება როგორც სხვათა სიტყვის ნაწილაკების უმართებულო გამოყენებას, ასევე სიტყვასთან

ერთად მათი დაწერილობის საკითხსაც. მკვლევრები მასალის ანალიზის საფუძველზე წარმოადგენენ 9 წესს, რომლებიც ეხება როგორც ნაწილაკების ზუსტი გამოყენების არეალს, ისე ნაწილაკიანი სიტყვის ადგილს წინადადებაში და დედისისა თუ ბრჭყალების გამოყენების საჭიროებას.

სამივე ნორმა, რომლებიც ერთობლივად შეიმუშავეს ივ. გიგინეიშვილმა და ვ. თოფურიამ, დღესაც აქტუალურია, ხოლო მათი განახლებული ვარიანტების მომზადება – საშური საქმე.

## ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### **რამდენიმე სიტყვა პროფესორ ივანე გიგინეიშვილზე**

პროფესორი ივანე გიგინეიშვილი იყო გამოჩენილი მეცნიერი, ქართული საენათმეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართული სალიტერატურო ენის წამყვანი სპეციალისტი, რუსთაველის ენის უბადლო მკვლევარი, გამორჩეული დიალექტოლოგი და ლექსიკოგრაფი, მაღალი პიროვნული თვისებებით უხვად შემკული ადამიანი.

ბ-ნ ივანეს პირველად შევხვდი როგორც სტუდენტი – ლექტორს. 1958-59 წლებში გვიკითხავდა ქართული ენის კურსს. შთამბეჭდავი ლექციები ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ლექციებს ვეღარ ატარებდა და მას მისი მასწავლებელი – აკად. ვ. თოფურია ცვლიდა.

ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის – მასწავლებლისა და მოწაფის, თანამშრომლობას კარგა ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი, კერძოდ, მათი თანაავტორობით უკვე დაბეჭდილი იყო „ქართული სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონის“ სამი გამოცემა (1941, 1946, 1949). შემდეგ გამოვიდა მათი ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი (1967). მათ ერთობლივად მოამზადეს ქართული სალიტერატურო ენის სამი ნორმა. ბ-ნი ვარლამი და ბ-ნი ივანე (ივ. ქავთარაძესთან ერთად) იყვნენ ავტორები უმნიშვნელოვანესი კრებულია „ქართული დიალექტოლოგია“ (1961).

ივ. გიგინეიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კვლევა-ძიების ორგანიზაციის საქმეში (სხვადასხვა დროს) – როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე, დირექტორი, ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის მდივანი.

პროფ. ივ. გიგინეიშვილი გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით; იყო შესანიშნავი მოსაუბრე და საინტერესო მთხრობელი, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული.

ბ-ნ ივანესთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა, რისი ინიციატორიც, ბუნებრივია, თავად იყო; გულისხმიერება ჩემ მიმართ ბევრჯერ გამოუჩენია...

ჩემთვის დიდად სასიამოვნოა იმის გახსენება, რომ ივ. გიგინეიშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვისას ვიყავი სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი... საყურადღებოა ის გარემოება, რომ მისი სამივე ოფიციალური ოპონენტი აკადემიკოსი იყო (არნ. ჩიქობავა, ალ. ბარამიძე, შ. ძიძიგური).

ივ. გიგინეიშვილი ხშირად მონაწილეობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ექსკურსიები ყინწვისსა და ბოლნისში...

აკად. არნ. ჩიქობავა მაღალ შეფასებას აძლევდა „ენის ერთგული მუშაკის“ – ივ. გიგინეიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენაში მის აქტიურ მონაწილეობას (იყო ლექსიკონის კომისიის სწავლული მდივანი და VIII ტომის თანარედაქტორი); სამაგიდო წიგნს უწოდებდა მის მიერ ვ. თოფურიასთან ერთად შექმნილ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს“.

აკად. არნ. ჩიქობავა ხაზს უსვამდა საკონსულტაციო მუშაობას, რომელსაც მეტყველების კულტურის განყოფილება ეწეოდა და ეწევა (მთავარი კონსულტანტი იყო ივ. გიგინეიშვილი). „და ეს კონსულტაცია იყო კომპეტენტური სპეციალისტის ივანე გიგინეიშვილის მიერ გაწეული სათანადო კონსულტაცია. ახლა ეს კონსულტანტი დადუმდა. სალიტერატურო ენის ერთგული მუშაკის დიდად საჭირო საქმიანობა შეწყდა. მაგრამ გვჯერა, რომ ამ მუშაობას ხელში აიღებენ ის ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც დიდი მონდომებით არჩევდა, წვრთნიდა და მომუშავე კოლექტივად კრავდა ივანე გიგინეიშვილი“.

ნეიშვილი. და ეს მათი მუშაობა იქნება ივანე გიგინეიშვილის ღვაწლის ჯეროვანი დაფასება“.

ახლა, როდესაც პროფესორ ივანე გიგინეიშვილის გარდაცვალებიდან 40 წელზე მეტი გავიდა, შეიძლება სიამოვნებით აღინიშნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება ღირსეულად აგრძელებს იმ დიდ საქმეს, რომელსაც ემსახურებოდა პროფ. ივ. გიგინეიშვილი.

## მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

### **პოლივალენტური ენობრივი თამაში და ლინგვისტური ინოვაციები**

კომუნიკაციის ფორმებისა და მიზნების შესაბამისად, ენობრივი თამაშის მეშვეობით ლინგვისტური და კვაზილინგვისტური რეფლექსით მიღებული ინოვაციები ახალ ლინგვომენტალურ და ესთეტიკურ რეალობას ქმნის. აღნიშნულის ნათელსაყოფად თანამედროვე ქართული მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურა მრავალფეროვან მასალას გვთავაზობს.

ენობრივი თამაშების უმთავრესი ზოგადსპეციფიკური ნიშნები – პოლიმორფულობა, დივერსიულობა, პრაგმატულობა – მეტყველების სტრატეგიისა და კომუნიკაციის (პირდაპირი, არაპირდაპირი) მიზანდასახულობიდან გამომდინარე, რელევანტურობის განსხვავებულ ხარისხს ამჟღავნებს. ცხადია, ჟანრობრივ-სტილისტიკური თავისებურებებიც ისეთივე ოდენობაა, რომელთა მეშვეობითაც რელევანტურობის პირობითობა იზრდება: პროზაულ და ლირიკულ-ეპიკურ ნაწარმოებებში გაცილებით მნიშვნელოვანია პოლიმორფულობა საკუთრივ, როგორც არსებითი და, ამასთანავე, თვითკმარი ნიშანი; პუბლიცისტურ ლიტერატურაში პოლიმორფულობა მოტივირებულია გაცილებით კონკრეტული მიზნებით და, შესაბამისად, ენობრივი თამაშების დივერსიული ხასიათიც უფრო მკვეთრად წარმოჩნდება (სხვათაშორის, დივერსიულ ძალაზეა სრულად კონცენტრირებული თანამედროვე სოციალური სემიოტიკის ისეთი

პოლივალენტური ენობრივი თამაში, როგორსაც გვაწვდის და როგორცაა თავად პერფორმანსი. ამგვარ ფორმატში ნათლად ჩანს ენობრივი თამაშის, როგორც ენისა და მოქმედების ერთი მთლიანობის იდეა). ენობრივი თამაშების უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია ირონია და ირონიზების ნაირგვარი ხერხები და საშუალებანი.

ვფიქრობთ, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს იმგვარი პოლივალენტური ენობრივი თამაშები, რომლებშიც ლინგვისტურ ინოვაციათა ფონზე გამოკვეთილად ჩანს ენობრივი მოდელების აქტიურობა და, შესაბამისად, ენის მამოდეღირებელი ფუნქცია. მოხსენებაში სანიმუშოდ წარმოვადგენთ **პოსტ** სიტყვის პოლივალენტური გამოყენების ფრაგმენტს:

„დიდი ქართველი **მეპოსტე** და საზოგადო მოღვაწე.

თუ რა დაერქმევა ამ წერილობითი ფორმის მიმდევარს:

*მეპოსტე, მოსტავი, მოსტველი, პოსტმეისტერი, პოსტმეიქერი, პოსტისტი, პოსტერი, პოსტალიონი, პოსტამტი?..*

თუმცა, მგონი, საქმეს ვიმარტივებ. ამ დროს კი ეს სფერო მთლიანად მისახედი და მოსაწესრიგებელია. საშური საქმეა, მაგალითად, ჟანრობრივი კლასიფიკაცია. აი, რამდენიმე ვარიანტი – როგორი პოსტი რომელ ჟანრს შეიძლება მიეკუთვნოს:

ვრცელი პოსტი – პოსტინა, უმნიშვნელო პოსტი – პოსტიაკი, ფაქტს მიდევნებული პოსტი – პოსტ ფაქტუმი, კომენტარის ნაცვლად დაწერილი პოსტი – პოსტ სკრიპტუმი, ამკრძალავი პოსტი – ბლოკპოსტი, მკვლელი პოსტი – პოსტოლეტი, მასობრივად გამანადგურებელი პოსტი – ჰოლოპოსტი, გაიდვერული პოსტი – ნაპოსტარი, ქვეწარმავლური პოსტი – ლაპოსტე, მსუბუქი ყოფაქცევის პოსტი – პოსტიტუტკა, რელიგიური შინაარსის პოსტი – ეპოსტოლე ან იპოსტასი, მტკიცებითი პოსტი – პოსტულატი, ათლეთური პოსტი – პოსტსმენი, სასოფლო-სამეურნეო პოსტი – პოსტანი, დაკონსერვებული პოსტი – კომპოსტი, ფენოვანი პოსტი – კომპოსტო, მურავიოვის პოსტი – აპოსტოლი, ჩინოვნიკური პოსტი – პოსტი...

გააგრძელე საქართველოს პოსტოლოგია“.

ფაქტია, ზემოთქმულის გათვალისწინებით, საილუსტრაციოდ მოხმობილი ამონარიდი საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს; საყურადღებოა ასევე ენობრივი მოდელების პროდუქტიულობისა და ინვარიანტულობის მიმართების საკითხიც.

**ივანე გიგინეიშვილი და ქართული ენის  
ორთოგრაფიული ლექსიკონები**

ივანე გიგინეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის თვალსაწი-  
ერში იმთავითვე მოექცა **ქართული სალიტერატურო ენის ნორმალი-  
ზაციის** საკითხები. სხვადასხვა წლებში მეცნიერი მუშაობდა საქარ-  
თველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული **თანა-  
მედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კო-  
მისიის**, ასევე ჯერ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტ-  
თან, ხოლო შემდგომ – საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსე-  
ბული **თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა და-  
მდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის** წევრისა და მდივნის თა-  
ნამდებობებზე.

ივანე გიგინეიშვილის რედაქტორობით გამოიცა **„თანამედრო-  
ვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“**; იმავედროულად იგი  
გახლდათ ქართული ენციკლოპედიის **სატრანსკრიფციო ჯგუფის  
ხელმძღვანელი**. დაარსების დღიდანვე ივანე გიგინეიშვილი ენათ-  
მეცნიერების ინსტიტუტის თანამედროვე ქართული სალიტერატუ-  
რო ენის ნორმათა (1966 წლიდან – ქართული მეტყველების კულტუ-  
რის) **განყოფილების ხელმძღვანელია**.

ივანე გიგინეიშვილის თაოსნობით დაარსდა განყოფილების  
კრებული **„ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“**; მისივე რე-  
დაქტორობით გამოვიდა ამ გამოცემის 5 ტომი (1972–1983 წწ.). მანვე  
შეიმუშავა **უცხოურ პირთა სახელების ქართულად გადმოცემის  
პრინციპები**.

აქედან გამომდინარე, სრულიად კანონზომიერ მოვლენად შე-  
იძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პირველი ორთოგრაფიული ხა-  
სიათის ნაშრომების – **„სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონისა“**  
(1941, 1947, 1949 წლები) და ასევე ვრცელი **„ორთოგრაფიული ლექ-  
სიკონის“** (1968, 1998 წლები) – გამოცემის საქმე ვარლამ თოფურიაშ-  
ვილიძეს ივანე გიგინეიშვილთან თანაავტორობით ითავა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ვრცელ ორთოგრაფი-  
ულ ლექსიკონში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ წმინდა



ორთოგრაფიული, არამედ მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათის პრობლემებიც (მაგ.: სხედს (ხალხი), სხედან ისინი, მაგრამ ზის ის (ვზივარ, ზიხარ...)).

ორთოგრაფია, ვიწრო გაგებით, უფრო ფონეტიკურ საკითხებს მოიცავს, ფართო გაგებით კი – მორფოლოგიურსაც. სწორედ ეს „ფართო გაგებით“ ორთოგრაფიული საკითხებია შეტანილი ვრცელ ორთოგრაფიულ ლექსიკონში (1968 წლისა), რომელიც შემდგომ, როგორც 1998 წლის გამოცემის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, სტილისტიკური ხასიათის ინფორმაციითაც შეივსო (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონში ამ სახის სინტაქსურ-სტილისტიკური საკითხების შეტანა თვით ქართული ენის ბუნებამ განაპირობა... მეორე მხრივ, ქართულ დაწერილობასა და წარმოთქმას შორის არ არის ისეთი სხვაობა, როგორც სხვა ენებში გვაქვს. აქ არ დგას არც მახვილის პრობლემა. სამაგიეროდ, სირთულეებია სინტაქსისა და სტილისტიკის სფეროებში; და ფრიად ლოგიკურია, რომ ეს სირთულეებიც ასახულიყო ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

საბოლოო ჯამში, ავტორების ძალისხმევით, ქართულ სინამდვილეში პირველად გამოიცა **„ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“** – საეტაპო და ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომი.

## სტუდენტთა სექცია

ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი

### **ფრაზეოლოგიური გამოთქმებისათვის ქართულში (აზერბაიჯანულ-თურქულ და ინგლისურ ენებთან მიმართებით)**

საკითხის ანალიზისას ვეყრდნობით როგორც ქართველ, ისე აზერბაიჯანელ, თურქ და ინგლისელ მეცნიერთა გამოკვლევებსა და ლექსიკონებს ფრაზეოლოგიურ გამოთქმებთან დაკავშირებით (ბიძინა ფოჩხუა, „ქართული ენის ლექსიკოლოგია“; თედო სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“; ალექსანდრე ონიანი, „ქართული იდიომები“; ქულუ მეჰერლემლი და რაფიკ ისმაილოვი, „აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“; ილიას ჰამიდოვი, მამედ გოჯაევი, რენა მამედოვი და ლეილა ჰამიდოვი, „აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“; ჰათიჯე შაჰინ, „თურქულ ენაში ორგანოების სახელებით შექმნილი იდიომები“; შოჰრეთ თურქმენ აქთაში, „იდიომები თურქულ ენაში“; რიჩარდ სპეარი, „ამერიკული იდიომების ლექსიკონი“ და „იდიომთა ლექსიკონი“ – ოქსფორდი).

მოხსენების მიზანია ქართულ, აზერბაიჯანულ, თურქულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა (ერთი ნაწილის) შედარება და, შესაბამისად, მსგავსება-განსხვავებათა დაძებნა, კერძოდ, რა შემთხვევაში მიმართავს ტიპოლოგიურად განსხვავებული ენები (ქართული, აზერბაიჯანულ-თურქული და ინგლისური) ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულებს, მყარ შეხამებებს, მსგავსი მნიშვნელობის გამოსახატავად.

ნაშრომში განხილული იქნება ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც იდიომების ფუნქციას ასრულებენ. საანალიზოდ შერჩეულია იმ სახის მასალა, რომელშიც ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა საკვანძო სიტყვად გვაქვს „ენა“ (ამოსავალია ქართული – სხვა დასახელებულ ენებში შესაძლებელია „ენის“ ნაცვლად განსხვავებული ლექსიკური

ერთეული იყოს გამოყენებული ანალოგიური შინაარსის გამოსახატავად).

მასალა შემდეგნაირად არის განლაგებული: ჯერ წარმოდგენილია ქართული ფრაზეოლოგიური გამოთქმა (კერძოდ, იდიომი), მაგ.: „ენა აეცრა“, მეორე სვეტში ახსნილია მყარი შეხამება (ამ შემთხვევაში – „დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო“), შემდეგ სვეტში მოცემულია აზერბაიჯანულში გამოყენებული შესაბამისი ფრაზეოლოგიური გამოთქმა „Dili açıldı“, მეოთხე სვეტში გვაქვს სიტყვასიტყვითი თარგმანი („ენა გაიხსნა“), ხოლო მეხუთეში წარმოდგენილია მნიშვნელობა („დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო“). მასალას ასევე ემატება მე-6 სვეტი, რომელშიც მოცემულია თურქული იდიომი, კერძოდ, „Dilini getirdi“, მე-7 სვეტში გვაქვს მე-6-ში დადასტურებული იდიომის პირდაპირი თარგმანი, ხოლო მე-8-ში წარმოდგენილია თავად იდიომის მნიშვნელობა. მას მოჰყვება მე-9 სვეტი, რომელშიც მოცემულია ინგლისურ ენაში გამოყენებული შესაბამისი ფრაზეოლოგიური გამოთქმა, კერძოდ, „Find your tongue“. მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი მომდევნო სვეტშია წარმოდგენილი: „ენის პოვნა“; ბოლო სვეტში ახსნილია მე-10-ში მოცემული ფრაზეოლოგიური გამოთქმა.

ქართული	რას გამოხატავს დასახელებული იდიმი ქართულში	აზერბაიჯანული	ზუსტი თარგმანი	რას გამოხატავს დასახელებული იდიომი აზერბაიჯანულში	
ენა აეცრა	დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო	Dili açıldı	ენა გაიხსნა	დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო	
თურქული	ზუსტი თარგმანი	რას გამოხატავს დასახელებული იდიმი თურქულში	ინგლისური	ზუსტი თარგმანი	რას გამოხატავს დასახელებული იდიომი ინგლისურში
Dilini getirdi	თავზე მოფრება	დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო	Find your tongue	ენის პოვნა (იპოვე შენი ენა)	დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო

## ენობრივი ფორმულებისათვის ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში

ალექსანდრე ყაზბეგის დიდებულ პროზას განსაკუთრებულ ელფერს სძენს წყევლა-ლოცვის, ფიცისა და დარიგების ამსახველი ენობრივი ფორმულები.

მოპოვებული მასალის მიხედვით გამოიყო ლოცვა-დალოცვის ფორმულათა რამდენიმე ტიპობრივი შემთხვევა:

ა) ლოცვა-დალოცვა ემყარება **უფლის ნებას** („ალალია შენი დედის ძუძუ – უთხრა ჯაჯალამ – ღმერთსამც შეურგია შენთვის...“);

ბ) ლოცვა-დალოცვისას მოხსენიებულია უძველესი სალოცავი **ლომისა** (სწორედ მისი მადლის იმედი აქვს მლოცველს): „ლომისამ გაუმარჯოს შენს მარჯვენას...“

გ) პერსონაჟი უშუალოდ **უფალს შესთხოვს** ადამიანის (შვილის, ძმის, მეგობრის...) ბედნიერებას – პირნათელ სიცოცხლეს („ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე! ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს“...);

დ) ლოცვა-დალოცვაში წარმოჩენილია **დედის მადლი**, რომლის ძალითაც უნდა აღიჭურვოს პერსონაჟი („ალალი იყოს, როგორც შენი დედის ძუძუ...“);

ე) დამლოცველს (პერსონაჟს) **საკუთარ თავზე** გადააქვს დასალოცავი ადამიანის ჭირი, ტკივილი... ასეთ შემთხვევებში (სათქმელის გასაძლიერებლად) წინადადების ბოლოს ხშირად მეორდება მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი **შენი** („შენი ჭირიმც დამილევია, შენი...“).

ნაირგვარი და საინტერესოა წყევლის, ფიცისა თუ დარიგების ამსახველი ენობრივი ფორმულებიც, რომელთა შესახებ მოხსენებაში იქნება საუბარი.

## **ტირეს გამოყენების შემთხვევებისათვის ქართულში**

ქართულში ტირეს მრავალი ფუნქცია აქვს. იგი გვხვდება:

### **1. შემასმენლის გამოტოვებისას:**

„ბარე ათი კაცი ერთდროულად უბაგუნებდა: ვინ – მუშტით, ვინ – წიხლით...“ (ამირეჯ.)...

### **2. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის (მეშველი ზმნის) გამოტოვებისას:**

„პირველი თეატრია, მეორე – კინო“ („საერთო გაზეთი“)...

### **3. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა შემდეგ, თუ შემკრები (განმაზოგადებელი) სიტყვა მომდევნოა:**

„ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, სამხედრო პირები – ყველა იქ იყო“ (ლორთქ.)...

### **4. ეს (და ეგ) ნაცვალსახელის წინ (რომელიც მოსდევს და ცვლის სახელობითში დასმულ წევრს):**

„დაფინანსება – ეს მათი ბიზნესია“ („საერთო გაზეთი“)...

### **5. დანართისა თუ ამხსნელ-დამაზუსტებელი სიტყვების გამოსაყოფად:**

„ჯერ კიდევ ჩვენი უძველესი წინაპრები – ხეთები – პირველობას ედავებოდნენ მაშინდელ უმძლავრეს სახელმწიფოს – ასურეთს“ (ჯავახ.)...

ასეთ შემთხვევებში მძიმეც დაისმის: „მეხუთე კლასის მოსწავლეები, გიო და ზურა, მესამე გაკვეთილიდან გაიპარნენ“ („თბილისელები“)...

### **6. რამდენიმე მომდევნო განკერძოებული განსაზღვრების წინ:**

„ბრუნდებოდა ის შინისაკენ – მიტკალივით თეთრი, განადგურებული“ (გეგეშ.)...

დასახელებული ტიპის შემთხვევებში ორწერტილიც დაისმის და მიიმეც: „ისევ ისეთი იყო: მკაცრი და ლამაზი“ (გეგემ.); „შესასვლელთან ბილბორდი იყო, მაღალი და განიერი“ („საერთო გაზეთი“)...

**7. უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის, თუ პირველი წინადადება მეორის მიმართ პირობითი ან დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შინაარსისაა:**

„მეტყვი ავ სიტყვას – პასუხს მიიღებ, მეტყვი სიკეთეს – მეც გაგახარებ“ (არაგვ.)...

**8. ჩართული სიტყვებისა თუ წინადადების გამოსაყოფად:**

„თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი – უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ – როგორც კარგი ნასუქი კურატი“ (ილია)...

**9. რამდენიმე ერთგვარ დროისა თუ ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარს შორის (მიმემსთან ერთად):**

„როცა შინ დაბრუნდება, როცა ნახავს მეგობრებსაც, როცა გაიგებს ყოველივეს, – მაშინ შეიტყობს, რაც მომხდარა“ (გეგემ.)...

**10. დიალოგური მეტყველებისას:**

- „– ვინ შენ...
- ამ სახლის პატრონი.
- მერედა, აქ რას აკეთებ?
- ამას მე მეკითხები?“ (დოჩან.)...

**11. ავტორისა თუ პერსონაჟის სიტყვების გამოსაყოფად პირდაპირი ნათქვამისაგან:**

„– გემინია, ბართოლომეო?  
– არა, ანტონიო, – მივუგე მე, – სიკვდილის არ მემინია“ (ქარჩხ.)...

მოხსენებაში განხილული იქნება ტირეს გამოყენების სხვა შემთხვევებიც.